საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№ 08/220214 "29" 10 2014 წ.

სს "სილქნეტს"
შპს "მობიტელს"
შპს "მაგთიკომს"
შპს "ჯეოსელს"

"კომისიაში წარმოდგენილი მოწვევის ოფერტების გამოქვეყნების თაობაზე"

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ (შემდგომში "კომისია") განიხილა თქვენს მიერ წამოდგენილი ძირითადი ქსელის საკომუნიკაციო ტერმინალურ ელემენტებთან დაშვებისა და ურთიერთჩართვის (სატელეფონო ზარების წამოწყება/დასრულების) მომსახურების შეთავაზების წინადადება (მოწვევის ოფერტა).

მოწვევის ოფერტის პირობების ცვლილება გამოიწვია საერთაშორისო ზარების ტერმინაციაზე კომისიის 2014 წლის 9 ოქტომბრის №571/9 გადაწყვეტილებით ახალი დროებითი რეგულაციის დადგენამ.

მოწვევის ოფერტები გამოქვეყნდება კომსიის ვებ-გვერდზე, შემდეგი შენიშვნით: მოწვევის ოფერტის ცვლილების შედეგად არ უნდა გაუარესდეს ზარის დასრულების მომსახურების პირობები ურთიერთჩართული იმ ავტორიზებული პირებისათვის, რომლებიც არ ახორციელებენ საერთაშორისო ზარების დასრულებას და ურთიერთჩართვის მომსახურებას იღებენ მხოლოდ საკუთარი აბონენტებისგან წამოწყებული ზარების თქვენს ქსელში დასრულებისთვის.

მოწვევის ოფერტების პირობებზე ავტორიზებული პირების მხრიდან დაუთანხმებლობის შემთხვევაში, გთხოვთ, გვაცნობოთ დაუყოვნებლივ.

პატივისცემით,

კომისიის თავმჯდომარე ვახტანგ აბაშიძე

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ. ბოქორაძის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge